

_ თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა;

3.6. გუნდის მწვრთნელი ვალდებულია, შეხვედრის დაწყებამდე 45 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს არაუმეტეს 18 მოთამაშისა. ყოველ ფეხბურთელს ოქმში შეყვანილი ნომრის შესაბამისად უნდა ჰქონდეს ნომერი მაისურზე; სავალდებულოა გუნდის ყველა ფეხბურთელს მაისურის მარცხენა მკლავზე ჰქონდეს „VTB“-ის ნიშანი.

3.7. თამაშის ოქმს პირველად ავსებს მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელი;

3.8. თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდები წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი. მატჩის ოქმში შეყვანილ უნდა იყვნენ ოფიციალური პირები (გვარი, სახელი, თანამდებობა), მწვრთნელი, ექიმი, სათადარიგო ფეხბურთელები (7 მოთამაშე), რომლებიც თამაშის დროს სხდებიან სათადარიგოთა სკამზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ტექნიკურ ზონაში. მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელს სათადარიგოთა სკამზე ყოფნა ეკრძალება;

3.9. მატჩის მსაჯები ვალდებული არიან, შეამოწმონ გუნდების ფეხბურთელთა მოთამაშის ბარათები. ის მოთამაშე, რომელსაც მოთამაშის ბარათი არ გააჩნია, მატჩზე არ დაიშვება. უშუალოდ მატჩის დაწყების წინ და ფეხბურთელის შეცვლის დროს მოედანზე მსაჯთა ბრიგადა ვალდებულია, მოახდინოს მოთამაშის ბარათის ფოტოსურათისა და მოთამაშის ვიზუალური შემოწმება.

3.10. ეკრძალება ერთი და იგივე ფეხბურთელის ერთი ტურნირის ორ სხვადასხვა გუნდში თამაში.

3.11. გუნდებს უფლება ეძლევათ თავისივე კლუბის მაქსიმუმ 3 ფეხბურთელის დამატებისა მერიის თასიდან, 2 ფეხბურთელის დამატებისა ჭაბუკთა ლიგის და ელიტ-ლიგის გუნდებიდან, თუ ფეხბურთელის ასაკი შეესაბამება იმ გუნდის ასაკს, სადაც აპირებს ფეხბურთელი თამაშს.

3.12. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს. მსაჯები აგრეთვე ეცნობიან მოთამაშეთა ფორმის ფერებს. თუ გუნდების სათამაშო ფორმა ერთნაირია, მსაჯების მოთხოვნით ფორმა უნდა გამოიცვალოს მასპინძელმა გუნდმა. მოედანზე მყოფ ფეხბურთელებს ეკრძალებათ წვივსაფრის გარეშე თამაში;

3.13 ელიტ ლიგაზე მოასპარეზე მასპინძელი გუნდი ვალდებულია, თითოეულ თამაშზე მსაჯებს წარუდგინოს არანაკლებ 3 სათამაშო ბურთი;

3.14. მასპინძელი გუნდი ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მორიგე სამედიცინო დახმარების მანქანა, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივ წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;

3.15 მატჩის გადატანაზე და თარიღის შეცვლაზე გადაწყვეტილების მიღება ევალება თფფ-ს ბავშვთა ფეხბურთის განყოფილებას. გადატანა უნდა იყოს არგუმენტირებული და მისაღები ორივე გუნდისთვის.

3.16 ელიტ ლიგის გათამაშებაში ფეხბურთელის შეცვლა ნებადართულია განუსაზღვრელი რაოდენობით. 2001-2004 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირებში უკუშეცვლა აკრძალულია. 2005-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირებში უკუშეცვლა ნებადართულია. ყველა ტურნირში ფეხბურთელის შეცვლა ნებადართულია მხოლოდ მატჩის შეჩერების შემთხვევაში.